ᲰᲘᲑᲠᲘᲓᲣᲚᲘ ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲖᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ:

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲙᲐ ᲥᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲞᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჰიბრიდული ომი და დეზინფორმაცია: რუსეთის ტაქტიკა კავკასიასა და ევროპაში საზოგადოებრივი აზრის და პოლიტიკური პროცესების მანიპულირებისათვის

ავტორი: **გიორგი ბილანიშვილი**

თბილისი

2024

პუბლიკაციის შესახებ

წინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ ასახავს ან წარმოადგენს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (CSD) ან შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

შინაარსი

შესავალი 1

გამოყენებული ლიტერატურა 1

კვლევის მეთოდოლოგია 2

ჰიბრიდული ომის განმარტებები 2

რუსეთი და ჰიბრიდული ომი ევროკავშირისა და NATO-ს უახლეს კონცეპტუალურ დოკუმენტებსა და ანგარიშებში 4

რუსეთი და ჰიბრიდული ომი კავკასიის ქვეყნების კონცეპტუალურ დოკუმენტებსა და ანგარიშებში 7

რუსეთის მტრული და მადესტაბილიზებელი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა ევროპის ქვეყნებში 10

დასკვნა 15

ბიბლიოგრაფია 17

შესავალი

რუსეთის ყოვლად უსამართლო და სასტიკმა ომმა უკრაინაში ცხადი გახადა, რომ მოსკოვის ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი გავლენის გაძლიერების მიზნით გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. რუსეთის მიერ დაწყებული ომი, რა თქმა უნდა, მხოლოდ უკრაინის ტერიტორიების ოკუპაციას არ ისახავს მიზნად. მოსკოვს სურს, რომ ამ ომით შეამციროს დასავლეთის გავლენა, დაასუსტოს ისეთი ორგანიზაციები, როგორიც ნატო და ევროკავშირია და შექმნას ახალი რეალობა, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების უმრავლესობაზე მისი ექსკლუზიური გავლენის აღდგენას გულისხმობს. ამდენად, სულ მცირე ევროპა და განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სივრცე სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. ასეთ ვითარებაში კი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების პოლიტიკის სწორად დაგეგმვა, არსებული საფრთხეებისა და რისკების ზუსტი შეფასება მათი შემდგომი შემცირებისთვის და კოორდინაციის ამაღლება საერთო ძალისხმევის მობილიზებისთვის, რაც აძლიერებს უკუქმედების ეფექტიანობას რუსეთის ძირგამომთხრელი და დესტრუქციული საქმიანობის წინააღმდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა

თემის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, აქცენტი გაკეთდა ევროკავშირისა და ნატოს კონცეპტუალური დოკუმენტების შესწავლაზე. დამუშავებულ იქნა ევროკავშირის 2016 წლის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია, NATO-ს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია და სომხეთის 2020 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. გარდა ამისა, შესწავლილი იქნა „უცხოური ინფორმაციის მანიპულირებისა და გავლენის“ თაობაზე ევროკავშირის 2023 წლისა და 2024 წლის ანგარიშები, ასევე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის ანგარიში და უახლესი საგამოძიებო ჟურნალისტის მასალები, რომელიც მოპოვებულია დანიის საზოგადოებრივი მაუწყებლისა და The Insider-ის მიერ. გარდა ამისა, დამუშავდა ისეთი სანდო გამოცემების მასალები, როგორებიცაა: Irregular Warfare Initiative, The Economist, The Guardian და ა.შ.

კვლევის მეთოდოლოგია

თემის შესასწავლად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტები და ანგარიშები. ასევე, საგამოძიებო ჟურნალისტიკის მასალები. გარდა ამისა, შესწავლილი იქნა არაერთი ინტერნეტწყარო, ონლაინგამოცემა და კვლევა, რის საფუძველზეც, საერთო ჯამში, შეგროვდა სათანადო მასალა კვალიფიციური პუბლიკაციის მოსამზადებლად.

ჰიბრიდული ომის განმარტებები

2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში ახალი შეიარაღებული კონფლიქტის წამოწყების ფონზე, „ჰიბრიდული ომი“ გახდა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემატიკა სხვადასხვა ქვეყნის ანალიტიკოსებისა და მკვლევრებისთვის, რადგან სწორედ ეს მოვლენები მოიხსენიება ყველაზე ხშირად ჰიბრიდულ ომად (FIIA, 2017). ასეთი ომის კონცეფციის განმარტების ფუძემდებლად ფრენსის ჰოფმანი მიიჩნევა. მისი განმარტებით, „ჰიბრიდული ომი მოიცავს, როგორც კონვენციური, ისე არარეგულარული ომის თითქმის ყველა კომპონენტს“, თუმცა, ჰოფმანი არ ამტკიცებს, რომ ასეთი შერწყმა რაიმე თვისებრივ სიახლეს წარმოადგენს (ქავთარაძე, 2023).

ჯონ მაკკუენი „სამხედრო მიმოხილვაში“ 2008 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში აღნიშნავს, რომ თანამედროვე ჰიბრიდული ომი სამ ყველაზე მნიშვნელოვან ფრონტზე ვითარდება. კერძოდ: ესენია: კონვენციური ომის ფრონტი, სადაც სიმეტრიული და ასიმეტრიული საფრთხეები ერთობლივად ვითარდება; მოწინააღმდეგე (ომში ჩართული) ქვეყნის ფრონტი, სადაც უნდა მოხდეს მოწინააღმდეგის მოსახლეობაზე გავლენის მოხდენა; და მესამე ფრონტი, რომელიც მოიცავს, როგორც საკუთარ მოსახლეობას, ისე საერთაშორისო საზოგადოებას, რომელთა მხარდაჭერის მოპოვება აუცილებელია, განსაკუთრებით ხანგრძლივი ომისას (FIIA, 2017).

მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდული ომი ფართო განხილვის საგანი გახდა და იგი ევროკავშირის, ნატოს და დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნის კონცეპტუალურ დოკუმენტებშიც აისახა, სრული სიცხადე ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ არსებობს. დასავლეთში სხვადასხვა ავტორები ხშირად იყენებენ ტერმინს „არარეგულარული ომი“, რომელიც თავისი არსით, ჰიბრიდულ ომს წარმოადგენს. ასე მაგალითად, Irregular Warfare Initiative-ის ვებგვერდზე ცოტა ხნის წინ (18.07.2024 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში, მიმოხილულია ცნობილი ავტორის, ან აპელბაუმის ახალი წიგნი - „კორპორაცია ავტოკრატია. დიქტატორები, რომლებსაც სურთ მართონ მსოფლიო“. ამ წიგნის ავტორი არარეგულარულ ომს ავტორიტარული მმართველობის მთავარ იარაღად განიხილავს. აპელბაუმის აზრით, ასეთი ომი მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს დემოკრატიების წინააღმდეგ ბრძოლაში. კერძოდ:

მისინფორმაცია/დეზინფორმაცია

ავტოკრატიული რეჟიმების შემთხვევაში მისინფორმაცია/დეზინფორმაცია სცდება ტრადიციულ ჩარჩოებს, როგორც ტიპის, ისე ხარისხის თავლსაზრისით, რადგან ავტოკრატების სამიზნე მხოლოდ ერთი მართულება არ არის. არამედ ისინი იბრძვიან მუდმივად და მრავალმხრივ საკუთარი ოპონენტების წინააღმდეგ, რისთვისაც იყენებენ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

სამართლებრივი ომი

ავტოკრატიული ქვეყნები მოქმედებენ სინქრონულად, რათა შეცვალონ საერთაშორისო სისტემის მორალური და სამართლებრივი საფუძვლები და მოიპოვონ ლეგიტიმაცია და გავლენა დემოკრატიების ხარჯზე;

PROXY ძალები და უსაფრთხოების მხარდაჭერა

ავტოკრატიული რეჟიმები ცდილობენ საკუთარი გავლენის კაპიტალიზაციას და სასურველი შედეგების მიღწევას PROXY ძალების ხარჯზე. ამისთვის ტრადიციულ PROXY ძალებთან ერთად აქტიურად გამოიყენება ვაგნერის ტიპის კერძო სამხედრო კომპანიები.მათი მეშვეობით ავტოკრატიული რეჟიმები, ერთი მხრივ, ქმნიან უსაფრთხოების ისეთ გამოწვევებს, რომელიც აძლიერებს წნეხს დემოკრატიულ სისტემებზე, ხოლო მეორე მხრივ - საკუთარ მოკავშირეებს ძალაუფლების შენარჩუნებაში ეხმარება (Zolyniak, 2024).

როგორც თავად ამ წიგნის ავტორი, საკუთარ სტატიაში აღნიშნავს, რომელიც 2023 წლის ბოლოს გამოქვეყნდა, საერთო ჯამში, თავიანთი ქმედებებით ავტოკრატიული რეჟიმები საკუთარი კლუბის წევრების არა მხოლოდ დაფინანსებასა და უსაფრთხოებას აღწევენ, არამედ, რაც შეიძლება უფრო მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფენ მათ დაუსჯელობას (Applebaum, 2023). ამასთან, ავტოკრატიული რეჟიმების მიერ წარმოებულ ჰიბრიდულ ომში წარმატებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მასში ჩართული მრავალი სხვადასხვა აქტორის ძალისხმევის თანხვედრა და კოორდინაცია, რადგან სწორედ ასეთი სინერგია განაპირობებს სასურველ შედეგს (FIIA, 2017). შესაბამისად, სახელმწიფო მთლიანად უნდა მოქმედებდეს როგორც ერთი დიდი და ძლიერი სპეცსამსახური, რასაც ვხედავთ კიდეც რუსეთის მაგალითზე.

რუსეთი და ჰიბრიდული ომი ევროკავშირისა და NATO-ს უახლეს კონცეპტუალურ დოკუმენტებსა და ანგარიშებში

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ და აღმოსავლეთ უკრაინაში შეჭრამ გამოიწვია ევროკავშირის მხრიდან საკუთარი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სტრატეგიის გადახედვა. 2016 წელს გამოქვეყნდა ევროკავშირის ახალი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალურ სტრატეგია, რომელიც, რა თქმა უნდა, ეხება რუსეთს, თუმცა არც მოსკოვის აგრესიული პოლიტიკა და არც ევროკავშირის შესაძლო უკუქმედება ამ დოკუმენტში ადეკვატურად ასახული არ არის.

ახალ სტრატეგიაში ნათქვამია, რომ რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის დარღვევა და უკრაინის დესტაბილიზაცია, შავი ზღვის რეგიონში არსებულ კონფლიქტებთან ერთად, გამოწვევას ქმნის ევროპის უსაფრთხოების საფუძვლებისთვის. მასში ასევე ხაზგასმულია, რომ ევროკავშირი არასოდეს აღიარებს ყირიმს რუსეთის ნაწილად და არ დაუშვებს დესტაბილიზაციას აღმოსავლეთ უკრაინაში (EU Global Strategy, 2016). ამ პასაჟების და ზოგიერთი სხვა მსგავსი ჩანაწერის მიუხედავად, საერთო ჯამში, როგორც

უკვე აღინიშნა, ამ დოკუმენტის ტექსტი სრულად ვერ ასახავს რუსეთის აგრესიულ განზრახვებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ დოკუმენტში რამდენიმე ადგილას ნახსენებია ჰიბრიდული ომი, მაგრამ მხოლოდ განზოგადებულ კონტექსტში და არა რუსეთთან პირდაპირ კავშირში.

რაც შეეხება NATO-ს სტრატეგიულ კონცეფციას, მისი განახლება მხოლოდ 2022 წელს, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ მოხდა. ეს გახლავთ ასეთი ტიპის მეოთხე დოკუმენტი ცივი ომის დასრულების შემდეგ. წინა სამი სტრატეგია 1991, 1999 და 2010 წლებში გამოქვეყნდა (NATO's New Strategic Concept, 2022). NATO-ს ახალი სტრატეგია, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგიისგან განსხვავებით, ადეკვატურად აფასებს რუსეთის ქმედებებსა და მისგან მომდინარე საფრთხეებს. ამ დოკუმენტის თანახმად, რუსეთის სასტიკმა და უკანონო თავდასხმამ უკრაინაზე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების არაერთგზის დარღვევამ, გაუგონარმა ქმედებებმა და სისასტიკემ, წარმოუდგენელი ნგრევა და ზიანი გამოიწვია (გვ. 1); უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის ფონზე არ გამოირიცხება იერიშის მიტანა მოკავშირეთა სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე (გვ. 3); რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს პირდაპირ მუქარას მოკავშირეთა უსაფრთხოებისთვის, მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ევროატლანტიკურ სივრცეში. იგი ცდილობს გავლენის სფეროების და უშუალო კონტროლის მოპოვებას იძულებით, დივერსიული საქმიანობით, აგრესიითა და ანექსიით, იყენებს კონვენციურ, კიბერ და ჰიბრიდულ საშუალებებს NATO-ს წევრებისა და პარტნიორების წინააღმდეგ. რუსეთის ქმედებები, რიტორიკა და ძალის გამოყენების მუდმივი მზაობა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ძირს უთხრის წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს. რუსეთის ფედერაცია ახდენს საკუთარი ბირთვული ძალების მოდერნიზებას, ზრდის ორმაგი დანიშნულების მქონე თანამედროვე გადამტან სისტემებს და იყენებს მათ ბირთვული იარაღით მუქარისთვის (გვ. 4) (NATO Strategic Concept, 2022).

უკრაინაში შეჭრის შემდეგ ევროკავშირშიც უფრო ადეკვატურად აღიქვეს რუსეთისგან მომდინარე საფრთხეები, რაც აისახა კიდეც ორგანიზაციის დოკუმენტებში. ასე მაგალითად: ევროკავშირის საგარეო ქმედებათა 2023 წლის ანგარიშში „უცხოური ინფორმაციით მანიპულირებისა და გავლენის" (შემდგომში FIMI) თაობაზე აღნიშნულია, რომ ოფიციალური რუსეთის აქტორები მონაწილეობდნენ FIMI-ის 88 შემთხვევაში; FIMI, როგორც წესი, სხვადასხვა ენაზე ხორციელდება. მათ შორის დადგენილია 30 სხვადასხვა ენის გამოყენების შემთხვევა, საიდანაც 16 ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენებია; FIMI-ის

მეშვეობით რუსეთი უმთავრესად მიზნად ისახავს ყურადღების გადატანას მისთვის სასურველი მიმართულებით - სხვა ნარატივებსა და აქტორებზე ან/და ცდილობს შეცვალოს და დამახინჯებულად წარმოაჩინოს მისთვის არასასურველი ნარატივები; სხვადასხვა აქტორებთან ერთად, რუსეთი რეგულარულად იყენებს დიპლომატიურ არხებს FIMI-სთვის (EEAS Report on FIMI n.d., 2023).

ამავე ანგარიშში ნათქვამია, რომ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კამპანია სიახლეს არ წამოადგენს, რადგან ის მადისკრედიტებელი ნარატივი, რომელსაც რუსეთი იყენებს, ჯერ კიდევ 2013-14 წლებში გამოიყენებოდა კრემლის მიერ უკრაინაში მეორე ხავერდოვანი რევოლუციის დროიდან მოყოლებული. მათ შორის, ისეთი კლიშეებიც, როგორიცაა „ფაშისტური სახელმწიფო“ და „არშემდგარი სახელმწიფო“ (EEAS Report on FIMI, 2023).

2024 წლის გამოქვეყნებულ იგივე ანგარიშში კვალავაც მიმოხილულია რუსეთის დამაზიანებელი საქმიანობა FIMI-ის კონტექსტში. ამ ანგარიშში გაკეთებული შეფასებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის თანახმად, რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ნათელი მოჰფინა, თუ როგორ გამოიყენება FIMI როგორც სტრატეგიული დონის და კოორდინირებული პოლიტიკა და ასევე ინსტრუმენტი რუსეთის მიერ ომის მზადებისა და განხორციელების პროცესში. შესაბამისად, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური ასკვნის, რომ FIMI უფრო მეტია, ვიდრე გავლენის მოხდენა დემოკრატიასა და საზოგადოებაზე, რადგან იგი ომის ინსტრუმენტად გამოიყენება (EEAS Report on FIMI, 2024).

NATO-ს 2024 წლის ვაშინგტონის სამიტის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ რუსეთი რჩება ყველაზე დიდ და პირდაპირ საფრთხედ მოკავშირეთა უსაფრთხოებისთვის. ხაზგასმულია მოსკოვის მხრიდან აქცენტის გადატანა ბირთვულ შეიარაღებაზე. ასევე ყურადღება გამახვილებულია რუსეთის მხრიდან ევროატლანტიკურ სივრცეში აგრესიული ჰიბრიდული ქმედებების გააქტიურებაზე, რომელიც მოიცავს: საბოტაჟს, ძალადობრივ ქმედებებს, დამაზიანებელ კიბერ აქტივოებებს, ელექტრონულ შელწევას, დეზინფორმაციის კამპანიას, მავნე პოლიტიკურ გავლენასა და ეკონომიკურ ზეწოლას (Washington Summit Declaration, 2024).

ზემოთ მიმოხილულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ცხადია, რომ დღეისათვის დასავლეთში რუსეთის აგრესიული განზრახვების აღქმა ბევრად უფრო მკაფიო და მართებულია, თუმცა

საქართველოს გადმოსახედიდან მაინც ჩნდება უკმაყოფიღების გრძნობა, რადგან რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომი დასავღეთის აღქმაში 2014 წღიდან მოყოღებული უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიუღ ქმედებებს უკავშირდება მაშინ, როდესაც რუსეთი იგივე კონცეფციით მოქმედებდა, მაგაღითად, აფხაზეთსა და ცხინვაღის რეგიონში, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშღის პერიოდში. ასეთ ხედვას სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც იზიარებენ და, შესაბამისად, მიზანშეწონიღი იქნებოდა დიპღომატიური და საზოგადოებრივი ძაღისხმევის მიმართვა საქართველოს მხრიდან დასავღეთის ქვეყნებში რუსეთის აგრესიუღი ქმედებების თაობაზე კიდევ უფრო მკაფიო წარმოდგენის შესაქმნეღად.

რუსეთი და ჰიბრიდული ომი კავკასიის ქვეყნების კონცეპტუალურ დოკუმენტებსა და ანგარიშებში

,,აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ 2007 წღით თარიღდება (Распоряжение Президента № 2198, 2007), ამიტომ მისი მიმოხიღვა არარეღევანტურია. რაც შეეხება რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების შეფასებას, ღია წყაროებში არ იძებნება აზერბაიჯანის სახეღმწიფო უწყების მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომეღიც ასეთ საფრთხეების იდენტიფიცირებას მოახდენდა და შეაფასებდა, თუმცა ეს სრუღიადაც არ იძღევა იმის მტკიცების საფუძვეღს, რომ აზერბაიჯანს უსაფრთხოების პოღიტიკის დასაგეგმად შესაბამისი დოკუმენტები არ გააჩნია. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ასეთი დოკუმენტები კონფიდენციაღური ხასიათისაა. ამის თქმის საფუძვეღს გვაძღევს ისიც, რომ თუ არ ჩავთვღით ზემოთ ნახსენებ 2007 წღით დათარიღებუღ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, ამ ქვეყნის ჩვეული პრაქტიკა საჯარო უსაფრთხოების პოღიტიკის დოკუმენტების შემუშავება არასოდეს ყოფიღა.

„სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია“ 2007 წღის შემდეგ პირვეღად 2020 წეღს განახღდა (ბიღანიშვიღი, 2020). გასათვაღისწინებეღია, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი ყარაბაღის მეორე ომი და სომხეთი პოღიტიკურ დონეზე რუსეთის მთავარ

მოკავშირედ მიიჩნეოდა. შესაბამისად, სტრატეგიაში უკრაინის თემა სრულიად იგნორირებულია, თუმცა საუბარია იმაზე, რომ თანამედროვე მსოფლიოში საფრთხეები ხშირად ჰიბრიდული ომის სახით ჩნდება, რომელიც არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიკურ ბერკეტების გამოყენებას, კიბერშეტევებს, ყალბი ახალი ამბებისა და დეზინფორმაციის გავრცელებას მოიცავს (გვ. 5).

რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებთან მიმართებაში საყურადღებოა კიდევ ერთი პასაჟი ამ დოკუმენტიდან. კერძოდ, მასში, ქვეყნის დაკონკრეტების გარეშე, საუბარია იმაზე, რომ აზერბაიჯანისთვის იარაღის მიყიდვა კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას და სტაბილურობას რეგიონში“ (გვ. 6). უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ნაწილში, რამდენიმე სხვა ქვეყანასთან ერთად, რუსეთიც იგულისხმება, რომლის მხრიდან აზერბაიჯანისთვის სხვადასხვა სახის შეიარაღების მიყიდვა იმ დროისთვის სომხეთში უკვე საკმაო უკმაყოფილებას იწვევდა (NSS of The Republic of Armenia, 2020). რაც შეეხება რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების შეფასებას, აზერბაიჯანის მსგავსად, სომხეთის შემთხვევაშიც ღია წყაროებში არ იძებნება ისეთი ტიპის სახელმწიფო უწყების მიერ შემუშავებული დოკუმენტი, თუმცა, აზერბაიჯანის მსგავსად, არც სომხეთისთვის ყოფილა საჯარო უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება ჩვეული პრაქტიკა.

2020 წელს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლება პროგრესულ, მაგრამ არასაკმარის ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან, უნდა ველოდოთ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლებას უახლოეს მომავალში, რადგან თავად ამ დოკუმენტში მითითებულია, რომ სტრატეგია სულ მცირე 5 წლიწადში უნდა გადაიხედოს. ამასთან, ოფიციალურ ერევანს, ბაქოსგან განსხვავებით, საგარეო კურსი ევროკავშირთან და აშშ-სთან დაახლოებისკენ აქვს მიმართული, ხოლო უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო დოკუმენტების შემუშავება და გამოქვეყნება დიდწილად დასავლური, დემოკრატიული კულტურისა და პოლიტიკის დაგეგმვის ნაწილის წარმოადგენს.

აზერბაიჯანისა და სომხეთისგან განსხვავებით, საქართველოში უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო დოკუმენტების შემუშავება გარკვეულ პერიოდში ჩვეულ პრაქტიკად დამკვიდრდა, თუმცა ამ მხრივ ვითარება 2012 წლის შემდეგ მკვეთრად გაუარესდა. საქართველოს რიგით მეორე „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ 2011 წელს დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა (სპ დადგენილება 2011). შესაბამისად, ისევე როგორც აზერბაიჯანის შემთხვევაში, ამ დოკუმენტის მიმოხილვა არარელევანტურია.

2015 წლის შემოდგომაზე საქართველოს მთავრობამ ასევე დაამტკიცა ,,საქართველოს საფრთხეების შეფასების 2015–2018 წწ. დოკუმენტის“ სრულიად საიდუმლო (რიგით მეორე) ვერსია, თუმცა, ამჯერად, ამ დოკუმენტის ღია ვერსია არ განახლებულა და, შესაბამისად, არც გამოქვეყნებულა (ბილანიშვილი გ. & სოფრომაძე ვ. 2024). ამდენად, ვერ ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რა ფორმითა და შინაარსით იყო ასახული მასში რუსეთისგან მომდინარე საფრთხეები. ამასთან, შემდგომში უკვე არც სრულიად საიდუმლო ვერსიის განახლების თაობაზე არსებობს რაიმე ინფორმაცია.

„ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა“ და „საფრთხეების შეფასების“ დოკუმენტების განახლებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემა, საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში, რეგრესზე მიუთითებს, თუმცა რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეების აღქმის თაობაზე გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიური ანგარიში, რომელიც 2015 წლიდან მოყოლებული მუდმივად ქვეყნდება. ბოლო, 2023 წლის ანგარიშში, წინა წლების ანგარიშების მსგავსად, რუსეთი ნახსენებია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებულ შესაძლო ანექსიის, ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის და სხვადასხვა სახის შესაძლო სამხედრო საფრთხეების კონტექსტში (“სუსის ანგარიში,” 2023).

ანგარიშის სხვა ნაწილში რუსეთი ნახსენები არ არის. მათ შორის, დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან მიმართებაში, რომელიც, როგორც საფრთხე, მუდმივად აისახება სუსის ყოველწლიურ ანგარიშში. ბოლო წლების დოკუმენტებს თუ მიმოვიხილავთ, ამ საფრთხესთან დაკავშირებით სუსის ანგარიშში არსებული ჩანაწერების კონტექსტი პრაქტიკულად არ იცვლება და შემდეგი შინაარსისაა:

უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან დაკავშირებული ძალებისა და ცალკეული დესტრუქციული ელემენტების მიერ აქტიურად ხორციელდება დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიები. ამ კამპანიების ძირითად მიზანს საქართველოში ანტიდასავლური განწყობის გაღვივება, საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შეფერხება, სტრატეგიულ მოკავშირეებთან პარტნიორული ურთიერთობების დაზიანება, საქართველოს დემოკრატიული და დასავლური ფასეულობების მქონე ქვეყნის იმიჯის დაზიანება წარმოადგენს.

რუსეთის მტრული და მადესტაბილიზებელი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა ევროპის ქვეყნებში

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ევროპის ქვეყნებში რუსეთის მიერ განხორციელებული დივერსიების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასეთი აქტები განხორციელდა მათ შორის: ვარშავის სავაჭრო ცენტრში, ვილნიუსში მდებარე IKEA-ს საწყობში, რიგის მუზეუმში, პრაღის ავტობუსების სადგომში, ლონდონის სამრეწველო ზონაში, ბერლინის მეტალურგიულ ქარხანაში (Weiss et al., 2024), რომლის მფლობელი კომპანია უკრაინისთვის IRIS-T-ის ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს ამზადებს (The Economist, 2024).

დასავლეთის სადაზვერვო სამსახურების მონაცემებით, ამ ღონისძიებათა განხორციელებაში წამყვან როლს რუსეთის სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველო (შემდგომში GRU) ასრულებდა (Weiss et al., 2024), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში რუსეთის დივერსიული ოპერაციები სიახლეს არ წარმოადგენს. ასე მაგალითად, GRU-ს #29155 დანაყოფს უკავშირდება 2011 წელს ბულგარეთის დასახლებულ პუნქტ ლოვნიდოლში არსებული შეიარაღების საწყობის აფეთქება და ასევე 2014 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში ჩეხეთის ვლაჰოვიცეს მუნიციპალიტეტში არსებულ იარაღის საწყობში მომხდარი აფეთქებები. ამის შემდეგ, 2015, 2020 და 2022 წლებში, ბულგარეთის იარაღის საწარმოებშიც მოხდა აფეთქებები, რომელთა მიზეზებიც ჯერ კიდევ დაუდგენელია (The Economist, 2024).

The Insider-ის ინფორმაციით, GRU-ს #29155 დანაყოფის მიერ ევროპაში განხორციელებული დივერსიული აქტების კოორდინაციაში მონაწილებდა 7 ეთნიკურად რუსი აგენტი, რომლებიც ჩეხეთის მოქალაქეები იყვნენ. მათ შორის ნიკოლაი და ელენა შაპოშნიკოვები, რომლებმაც 1990-იანი წლების დასაწყისში, როგორც პოლიტიკურმა დევნილებმა, ჩეხეთში თავშესაფარი მიიღეს. შემდეგ მათ შეიძინეს ვილა საბერძნეთში, რომელიც GRU-ს მიერ კონსპირაციული შეხვედრების ადგილად გამოიყენებოდა. დივერსიული აქტების განხორციელებაში ხელშეწყობასთან ერთად, შაპოშნიკოვები GRU-სთვის ინფორმაციის შეგროვებითაც იყვნენ დაკავებული (Вайс et al., 2024).

აღსანიშნავია ისიც, რომ შაპოშნიკოვების ჩეხეთში შეღწევისთვის საფუძველი, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს მომზადდა, როდესაც 1987 წელს ნიკოლაი მიავლინეს ელსავში (დღევანდელი სლოვაკეთის ტერიტორია), სადაც იგი მოტომსროლელი ასეულის მეთაურად მსახურობდა, თუმცა როგორც The Insider-ის გამოძიებით ირკვევა, ამ წყვილში მთავარი მისი მეუღლე ელენა შაპოშნიკოვა იყო, რომელსაც 2015 წელს პუტინმა რუსეთის გმირის წოდებაც კი მიანიჭა (Ibid).

რუსეთის სპეცსამსახურების გააქტიურებას, თავისთავად ცხადია, მოჰყვა დასავლური სადაზვერვო სამსახურების საპასუხო ქმედება, რის შედეგადაც, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ევროპაში რუსეთის სპეცსამსახურების საკმაოდ ბევრი ფარული აგენტი გამოავლინეს. მიუხედავად ამისა, კრემლის ძალისხმევა ჯერ კიდევ არ შენელებულა, რადგან ცოტა ხნის წინ პრესაში გაჟონილი დოკუმენტების თანახმად ირკვევა, რომ ევროპის ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების წარმომადგენელთა შეფასებით, მიმდინარე ეტაპზე კრემლი ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით 48 ქვეყანაში აქტიურად ახორციელებს გავლენის ოპერაციებს (Roth, 2024).

2024 წლის დასაწყისიდან არსებული დინამიკა აჩვენებს, რომ დასავლეთის სპეცსამსახურების ეფექტიანობა, მოსკოვის ჯაშუშების გამოვლენის თვალსაზრისით, მზარდია. მხოლოდ აპრილში ევროპაში რამდენიმე ადამიანი დააკავეს, რომლებიც რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ სხვადასხვა სახის საბოტაჟის აქტს ახორციელებდნენ: გერმანიაში დააკავეს რუსეთისა და გერმანიის მოქალაქეობის მქონე ორი პიროვნება, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან რუსეთის GRU-ს დავალებით აშშ-ის სამხედრო ინფრასტრუქტურაზე და სხვა სამიზნე ობიექტებზე დივერსიული აქტის მომზადებაში; პოლონეთში დააკავეს ორი ადამიანი, რომლებიც გეგმავდნენ GRU-სთვის ინფორმაციის მიწოდებას ჟეშუვის აეროპორტის თაობაზე, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით უკრაინისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ჰაბს წარმოადგენს; დიდ ბრიტანეთში ბრალი წაუყენეს რამდენიმე ადამიანს ლონდონში უკრაინულ ლოგისტიკურ კომპანიაში ხანძრის გაჩენაში, რომლის საწყობზე ესპანეთში ასევე განხორციელდა თავდასხმა. ისინი ასევე დადანაშაულებული არიან კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერისთვის“ დახმარების გაწევაში, რომელსაც ამჟამად GRU აკონტროლებს (The Economist, 2024).

2024 წლის იანვარში ესტონეთის უსაფრთხოების სამსახურმა, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით, დააკავა ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მოქალაქე ვიაჩესლავ მოროზოვი, რომელსაც 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სამსახურის ხელმძღვანელის, მარგო პაღოსონის განცხადებით, მოროზოვის გადაბირება მოხდა 1990-იან წლებში მისი სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას, რის შემდეგაც იგი სამხედრო ფაკულტეტზე სწავლობდა. მოროზოვი 2010 წელს გადავიდა ესტონეთში საცხოვრებლად და დაიწყო ლექციების კითხვა ტარტუს უნივერსიტეტში (Err, 2024). იგი GRU-ს აწვდიდა ინფორმაციას ესტონეთის მოქალაქეებისა და უსაფრთხოების სფეროში ესტონეთის მოწყვლადობების თაობაზე (Ostiller, 2024). ამასთან, ვინაიდან იგი რუსეთის მიმართ ლიბერალური შეხედულებებით გამოირჩეოდა, სავარაუდოდ, საკუთარი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ხელს უწყობდა რუსეთის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

თებერვალში ასევე ესტონეთში 10 ადამიანი დაიჭირეს, რომლებიც ამზადებდნენ თავდასხმას შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურებრივ ავტომობილებსა და ახალი ამბების ერთ-ერთი ვებგვერდის რედაქტორზე (The Economist, 2024). სულ ახლახან კი, ოლიმპიადის დაწყების წინ, პარიზში დააკავეს რუსი ეროვნების 40 წლამდე მამაკაცი, რომელიც ოლიმპიური თამაშების დროს დესტაბილიზაციის გამოწვევას გეგმავდა. ეს პიროვნება, რომელიც უკვე 14 წელია საფრანგეთში ცხოვრობს, სავარაუდოდ, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურთან (FSB) იყო კავშირზე. საგამოძიებო მასალებიდან ირკვევა, რომ იგი პირველად საფრანგეთში, კერძოდ ზამთრის კურორტ კურშაველში, 2010 წელს ჩავიდა. მანამდე კი, როგორც ჩანს, ლეგენდის შექმნის მიზნით, სპეციალური მომზადება გაიარა, რა დროსაც მზარეულის პროფესიას დაეუფლა და სწორედ ამ მიმართულებითმუშაობდა ჯერ კურშაველში და შემდეგ პარიზში. (Boffey, 2024). რუსეთის მიერ პარიზის ოლიმპიადის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. გასული თვეში, „მაიკროსოფტის“ მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, რუსეთი ქმნიდა ყალბ გვერდებს/ანგარიშებს ავთენტიკური ფრანგული მედიასაშუალების გაყალბების მიზნით და იყენებდა ხელოვნურ ინტელექტს, რათა საზოგადოებაში ძალადობასა და ტერორიზმთან დაკავშირებული შიშები გაღვივებინა (Ibid). ამასთან, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ჯერალდ დარმანენის სიტყვების თანახმად, რუსი ეროვნების სხვა პირებიც არიან დაკავებული ოლიმპიური თამაშების წინ დეზინფორმაციის გავრცელების მცდელობის გამო (Ibid).

რუსეთის სპეცსამსახურებს საზღვარგარეთ ფარული ოპერაციების განხორციელებაში ხელს უწყობენ სხვადასხვა სახელმწიფო (სავარაუდოდ, კერძოც) სტრუქტურები. ერთ-ერთი მათგანია „რუსეთის ფედერაციის საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა მხარდა-

ჭერისა და უფლებების დაცვის ფონდი“ (შემდგომში ფონდი). დანიის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოპოვებული დოკუმენტაციის თანახმად, ამ ფონდის დანიის ფილიალმა, მხოლოდ 2023 წელს, რუსეთის ბიუჯეტიდან დაახლოებით 2 მლნ. 500 ათასი აშშ დოლარის დაფინასება მიიღო. მოპოვებული დოკუმენტაცია, სხვა მასალებთან ერთად, მოიცავს ანგარიშს იმის თაობაზე, თუ როგორ მიემართებოდა ეს თანხები ონლაინმედიის, EuroMore-ის საქმიანობის დაფინანსებისთვის, რომელიც შეიქმნა რუსეთისთვის სასარგებლო გზავნილების გასავრცელებლად, მას შემდეგ, რაც 2022 წლის მარტში ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება Russia Today-სა და Sputnik-ის მაუწყებლობის შეწყვეტის თაობაზე. EuroMore-ის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ევროპის მხრიდან უკრაინის მხარდაჭერის შესუსტება წარმოადგენდა (Hemmelig Operation Afsløret, 2024). EuroMore-ის გარდა, gGolos.eu არის ამ ფონდის მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი ონლაინპორტალი, რომელიც პრეზიდენტ ზელინსკისა და უკრაინის მთავრობის კრიტიკითაა დაკავებული. ასევე ამავე ფონდმა საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხა დახარჯა სხვა ვებგვერდების ფუნქციონირებისათვის, რომელიც თითქოსდა რუსოფობიასთან ბრძოლასა და რუსული ენის დაცვას ემსახურება (Roth, 2024).

ფონდი ასევე ჩართული იყო იარაღის ტრეფიკინგში ბრალდებული ვიქტორ ბუტისა და ბერლინში საქართველოს მოქალაქის, ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაში ბრალდებული ვიდიმ კრასიკოვის დაცვის საქმეში (Ibid). ასევე დასტურდება, რომ ფონდის პარტნიორი ორგანიზაციები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიმილიონობით აშშ დოლარის დაფინასებას იღებდნენ, რაც აჩენს ლეგიტიმურ კითხვებს ამ თანხების გამოყენების თაობაზე, მათ შორის ევროკავშირის პარლამენტის არჩევნების შესახებ (Ibid).

ამასთან, დასტურდება, რომ დაარსების დღიდან ეს ფონდი წარმოადგენს საფარს რუსეთის სპეცსამსახურებისთვის და მასში მთელ რიგ წამყვან თანამდებობებზე რუსეთის სადაზვერვო სამსახურის ოფიცრები მსახურობენ (Hemmelig Operation Afsløret, 2024). ერთ-ერთი მათგანია რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის ოფიცერი, ვლადიმერ პოზდოროვკინი, რომელიც კურირებს ფონდის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს ნორდუკულ და ბალტიის ქვეყნებში; ასევე ამავე სამსახურის ოფიცერი, ანატოლი საროკინი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის, მოლდოვისა და დნსტრისპირეთის მიმართულების კურატორია (Roth, 2024).

რუსეთის დამაზიანებელ საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართული ჰაკერული ჯგუფებიც, რომლებიც რუსეთის სპეცსამსახურებსაც უწევენ სათანადო დახმარებას და დეზინფორმა-

ციისა და პროპაგანდის გავრცელებასაც უწყობენ ხელს. ასე მაგალითად, 2022 წლის მარტიდან მოყოლებული რუსეთთან დაკავშირებული სხვადასხვა ჰაკერული ჯგუფები აქტიურად იყენებენ Telegram-ს საკუთარ საქმიანობაში. ერთი მხრივ, Telegram-ი გამოიყენება რუსეთის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი სააგენტოების ნარატივების გასავრცელებლად, მეორე მხრივ კი - ჰაკერული ჯგუფები იერიშებს ახორციელებენ იმ Telegram-არხების წინააღმდეგ, რომლებიც უკრაინაში რუსეთის აგრესიის თაობაზე მოსკოვისთვის არასასურველ ინფორმაციას ავრცელებენ. 2022 წლის 11 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია უკრაინული, ლატვიური, ესტონური, ლიეტუვური, სლოვაკური, ნორვეგიული, ასევე აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის Telegram-არხების წინააღმდეგ წარმატებული ჰაკერული შეტევის განხორციელების თაობაზე (Report on FIMI, 2023).

დასავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკურ კიბერაქტივისთა ჯგუფები, როგორც წესი, ააქტიურებენ საკუთარ საქმიანობას. ისინი საჯაროდ აორგანიზებენ ან ავრცელებენ ინფორმაციას გამოგონილი თუ რეალური კიბერშეტევების თაობაზე იმ ქვეყნების შედარებით მეორეხარისხოვან ინფრასტრუქტურაზე, სადაც არჩევნები ტარდება. ასეთი ოპერაციები, რომლებიც მოიცავს DDoS-ს შეტევებს, პროგრამულ შეღწევასა და ინფორმაციის გაჟონვას, მიზნად ისახავენ არჩევნების დისკრედიტაციას (Report on FIMI, 2024.).

დასკვნა

იმ ფონზე, როდესაც ევროპის ქვეყნებში აქტიური ბრძოლა მიმდინარეობს რუსეთის დესტრუქციული საქმიანობის, მათ შორის რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის, ასევე, რუსეთის სპეცსამსახურების საქმიანობის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, კავკასიის ქვეყნებში მსგავსი რამ არ შეინიშნება, თუმცა, ცხადია, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს კავკასიის ქვეყნებშიც ექნებათ მყარი პოზიციები, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ თუ დავაკვირდებით ზემოთ მიმოხილულ მასალებში, რუსეთის სპეცსამსახურების საქმიანობა ხშირად იმ ქვეყნებში შეინიშნებოდა, რომლებიც სოციალისტური ბანაკის ან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ. გარდა ამისა, ფაქტობრივ გარემოებას განეკუთვნება ისიც, რომ რუსეთის ფედერაციის საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა „მხარდაჭერისა და უფლებების დაცვის ფონდი“, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებისთვის საფარის ფუნქციას ასრულებს, კავკასიის ქვეყნებშიც ახორციელებს საკუთარ საქმიანობას.

ცალკეული ქვეყნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მდგომარეობა [ეროვნული] უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით უფრო რთულია. აზერბაიჯანს ჰყავს მტკიცე მოკავშირე თურქეთის სახით. სომხეთი აღრმავებს თანამშრომლობას ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით საფრანგეთთან, რაც თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროებსაც მოიცავს. რაც შეეხება საქართველოს, მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად, მისი ურთიერთობები პრაქტიკულად ყველა დასავლელ პარტნიორთან უკიდურესად გაუარესებულია.შეწყვეტილია დახმარების პროგრამები, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნები საქართველოსთვის, მათ შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ახორციელებდნენ.

ის გარემოება, რომ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში (ჩეხეთი, ესტონეთი, საფრანგეთი) გამოავლინეს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დიდი ხნის წინ ჩანერგილი თანამშრომლები, რომლებსაც მყარი საფარი გააჩნდათ, რუსეთის სპეცსამსახურების ჩავარდნაზე მიუთითებს. გასათვალისწინებელია, რომ პუტინის რეჟიმი ძირგამომთხრელ საქმიანობაზე მიმართავს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ კერძო სექტორის და საზოგადოებრივ რესურსებსაც, რადგან მან უკვე კარგა ხანია რაც საკუთარ ქვეყანაში ვითარება ტოტალურ კონტროლს დაუქვემდებარა.

შესაბამისად, მთლიანდ რუსეთის სახელმწიფო მოქმედებს როგორც სპეცსამსახური, რაც ზრდის მისი მხრიდან ზიანის მიყენებისთვის რესურსების მობილიზების შესაძლებლობას. იმისთვის, რომ ეს პარადოქსი კიდევ უფრო ცხადი გავხადოთ, შეგვიძლია ვნახოთ თუ რას მოიცავს მაგალითად, სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული ფარული ოპერაციები. 2010 წელს გამოქვეყნებულ ოქსფორდის სახელმძღვანელოში „ეროვნული უსაფრთხოება დაზვერვა“ ფარული ოპერაციების თაობაზე შემდეგ განმარტებას ვნახულობთ: ფარული ოპერაციის მიზანი არის გასაიდუმლოებული მოქმედებით სამიზნე ქვეყნის, ტერორისტული დაჯგუფების ან რაიმე ჯგუფის განვითარების შეცვლა.

ფარული ოპერაციები მოიცავს:

- პროპაგანდისტულ ღონისძიებებს (მაგალითად: უცხოეთში კონტროლირებადი მედიასაშუალებების მეშვეობით საგაზეთო სტატიებისა და პროკლამაციების გავრცელება);
- პოლიტიკურ ღონისძიებებს (მაგალითად: ოპონენტის წინააღმდეგ ფარული საარჩევნო კამპანიის წარმოება, მოკავშირეთა ჯგუფების ფინანსებით უზრუნველყოფა და მიმართულების მიცემა);
- ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს (მაგალითად: უცხოური ვალუტის გაყალბება, ელექტროსადგურის აფეთქება, პორტის დანაღმვა);
- გასამხედროებულ ღონისძიებებს (მაგალითად: უცხოეთში მოკავშირე ჯგუფებისთვის იარაღის მიწოდება, ნდობით აღჭურვილი პირებისთვის სათანადო კონსულტაციის გაწევა საერთო მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ბრძოლაში, შეთქმულებაში მონაწილეობა პოლიტიკური მკვლელობის განხორციელების მიზნით) (Johnson, 2010).

შესაბამისად, თანხვედრა სპეცსამსახურების ფარულ ოპერაციებსა და რუსეთის ჰიბრიდულ ომს შორის თვალნათელია. აქედან გამომდინარე, რუსეთის სახელმწიფოსთვის, რომელიც სპეცსამსახურის ყაიდაზე მოქმედებს, ყველაზე მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგის სუსტი/მოწყვლადი ადგილების იდენტიფიცირება და შემდეგ, სპეცსამსახურებისთვის დამახასიათებელი მოქმედების რეჟიმში, მათი გამოყენება საკუთარი ინტერესებისათვის.

ბიბლიოგრაფია

Russia's hybrid war in Ukraine: | FIIA – Finnish Institute of International Affairs. (2017, October 19). FIIA – Finnish Institute of International Affairs. Pp. 24. https://www.fiia.fi/en/publication/russias-hybrid-war-in-ukraine

ქავთარაძე, ნ. (2023). „ჰიბრიდული ომი" და რუსეთის მიერ წარმოებული „თანამედროვე ომი". ექსპერტის აზრი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი). გვ. 3. https://gfsis.org//wp-content/uploads/2023/06/201-expert-opinion-geo.pdf

Russia's hybrid war in Ukraine: | FIIA – Finnish Institute of International Affairs. (2017, October 19). FIIA – Finnish Institute of International Affairs. Pp. 30. https://www.fiia.fi/en/publication/russias-hybrid-war-in-ukraine

Zolyniak, A. (2024, July 18). Irregular Warfare in the 21st Century: Autocracy's Global Playbook. Irregular Warfare Initiative. https://irregularwarfare.org/articles/irregular-warfare-in-the-21st-century-autocracys-global-playbook/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR1WNEkY9JwYR7urg-5nsnKSCg7Kt6rUJlqes6VumHd4eXG39XWirR4YK4Y_aem_TENIgyWbQY9bewnmf1E4dw

Applebaum, A. (2023, October 31). Autocracy is winning. The Atlantic. https://www.theatlantic.com/magazine/archive/2021/12/the-autocrats-are-winning/620526/

Russia's hybrid war in Ukraine: | FIIA – Finnish Institute of International Affairs. (2017, October 19). FIIA – Finnish Institute of International Affairs. Pp. 32 https://www.fiia.fi/en/publication/russias-hybrid-war-in-ukraine

A global strategy for the European Union's foreign and security policy. (n.d.). (2016, June). EEAS. Pp. 33. https://www.eeas.europa.eu/eeas/global-strategy-european-unions-foreign-and-security-policy_en

NDC Research Paper. NATO's New Strategic Concept. No. 25. September, 2022. Edited by Tardy T. Pp. 1

NATO 2022 Strategic Concept. (2022, June 29). nato.int. https://www.nato.int/strategic-concept/

1st EEAS Report on Foreign Information Manipulation and Interference Threats. (n.d.). February, 2023. EEAS. Pp. 5. https://www.eeas.europa.eu/eeas/1st-eeas-report-foreign-information-manipulation-and-interference-threats_en

Idem, Pp. 9.

2nd EEAS Report on Foreign Information Manipulation and Interference Threats. (n.d.). January 2024. EEAS. Pp. 13 https://www.eeas.europa.eu/eeas/2nd-eeas-report-foreign-information-manipulation-and-interference-threats_en

Washington Summit declaration. (2024, July 10). nato.int. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_227678.htm?utm_source=multi&utm_medium=smc&utm_campaign=100724%26summit%26washington&fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR1stXByPPO46bf578EJfUHtmrCbLD14fEeA9cn5isHcHQ4UBKK7oKZkps0_aem_w6e7OMtl5Tg5TENgmvA4Kg

Распоряжение Президента Азербайджанской Республики Об утверждении Концепции национальной безопасности Азербайджанской Республики. (2007, May 23). https://migration.gov.az/content/pdf/100d0573f3c1bdd642b0718b6393bb0e.pdf

ბიღანიშვიღი, გ. (2020, სექტემბერი 4). სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. რონდელის ფონდი. https://gfsis.org.ge/ge/publications/view/2845

National Security Strategy of the Republic of Armenia. (2020, July). Security Council Office of Armenia. https://www.seco.am/pdf/Armenia%202020%20National%20Security%20Strategy.pdf

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. 23.12.2011. სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1555410?publication=0

ბიღანიშვიღი გ., & სოფრომაძე ვ. (2024). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა. პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები. გვ. 31. Gnomon Wise. https://gnomonwise.org/public/storage/publications/April2024/RTXG5i2NdGLwb1su7ZfL.pdf

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში. (2023). გვ. 6-11
https://ssg.gov.ge/. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.
https://ssg.gov.ge/page/info/reports

Weiss, M., Roonemaa, H., & Spriņģe, I. (2024, July 10). Exclusive: Inside Russia's Latvian sabotage squad. The Insider.
https://theins.ru/en/politics/272989?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR3sYnJqPO2bdR8QGWXvRTmo14Az2lX2HBg-Ac5gDjTvAXpJ8w4FHdX38B4_aem_byhXra5Hvit8P59hf560bw

The Economist. (2024, May 12). Russia is ramping up sabotage across Europe. The Economist.
https://www.economist.com/europe/2024/05/12/russia-is-ramping-up-sabotage-across-europe

Weiss, M., Roonemaa, H., & Spriņģe, I. (2024, July 10). Exclusive: Inside Russia's Latvian sabotage squad. The Insider.
https://theins.ru/en/politics/272989?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR3sYnJqPO2bdR8QGWXvRTmo14Az2lX2HBg-Ac5gDjTvAXpJ8w4FHdX38B4_aem_byhXra5Hvit8P59hf560bw

The Economist. (2024, May 12). Russia is ramping up sabotage across Europe. The Economist.
https://www.economist.com/europe/2024/05/12/russia-is-ramping-up-sabotage-across-europe

Вайс, М., Грозев, Х., & Доброхотов, Р. (2024, April 29). Как семья нелегалов ГРУ помогала устраивать взрывы в Европе. The Insider.
https://theins.ru/politika/271203

Ibid;
Weiss, M., Roonemaa, H., & Spriņģe, I. (2024, July 10). Exclusive: Inside Russia's Latvian sabotage squad. The Insider.
https://theins.ru/en/politics/272989?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR3sYnJqPO2bdR8QGWXvRTmo14Az2lX2HBg-Ac5gDjTvAXpJ8w4FHdX38B4_aem_byhXra5Hvit8P59hf560bw

Roth, A. (2024, June 3). Revealed: Russian legal foundation linked to Kremlin activities in Europe. The Guardian. https://www.theguardian.com/world/article/2024/jun/02/revealed-russian-legal-defence-foundation-pravfond-europe?CMP=share_btn_url&fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR18JNJ7uYV-6WuY5z8Q_SmqdVDyGYeitq-xAvrd4BCfqWtGTVxBc5y6tkU_aem_ATpRy8TRLYMAs-TwGNAAkOqzMsNfXUC_ZvlR1Rv-j2B27DT5_2piRkAZuA9vxShpRRJ-ZrKG3UCz4uBRa-1cCpzK

The Economist. (2024, May 12). Russia is ramping up sabotage across Europe. The Economist. https://www.economist.com/europe/2024/05/12/russia-is-ramping-up-sabotage-across-europe

Err. (2024, June 18). University professor found guilty of espionage against Estonian state. ERR. https://news.err.ee/1609374515/university-professor-found-guilty-of-espionage-against-estonian-state

Ostiller, N. (2024, July 17). From Estonian university professor to convicted Russian spy: the curious case of Viacheslav Morozov. The Kyiv Independent. https://kyivindependent.com/the-curious-case-of-viacheslav-morozov-russian-professor-made-a-career-in-estonia-by-criticizing-his-countrys-colonial-mindset-then-he-was-arrested-for-spying/

The Economist. (2024, May 12). Russia is ramping up sabotage across Europe. The Economist. https://www.economist.com/europe/2024/05/12/russia-is-ramping-up-sabotage-across-europe

Boffey, D. (2024, July 26). Russian chef arrested in Paris over alleged ‘large scale’ Olympic Games plot. The Guardian. https://www.theguardian.com/sport/article/2024/jul/24/russian-chef-arrested-in-paris-over-alleged-large-scale-olympic-games-plot-paris-2024

Hemmelig operation afsløret: Russisk spionfond har betalt millionbeløb for kampagner i Danmark og EU. (2024, June 2). DR. https://www.dr.dk/nyheder/indland/moerklagt/hemmelig-operation-afsloeret-russisk-spionfond-har-betalt-millionbeloeb

Roth, A. (2024, June 3). Revealed: Russian legal foundation linked to Kremlin activities in Europe. The Guardian. https://www.theguardian.com/world/article/2024/jun/02/revealed-russian-legal-defence-foundation-pravfond-europe?CMP=share_btn_url&fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR18JNJ7uYV-6WuY5z8Q_SmqdVDyGYeitq-xAvrd4BCfqWtGTVxBc5y6tkU_aem_ATpRy8TRLYMAs-TwGNAAkOqzMsNfXUC_ZvlR1Rv-j2B27DT5_2piRkAZuA9vxShpRRJ-ZrKG3UCz4uBRa-1cCpzK

Ibid;

Hemmelig operation afsløret: Russisk spionfond har betalt millionbeløb for kampagner i Danmark og EU. (2024, June 2). DR. https://www.dr.dk/nyheder/indland/moerklagt/hemmelig-operation-afsloeret-russisk-spionfond-har-betalt-millionbeloeb

Roth, A. (2024, June 3). Revealed: Russian legal foundation linked to Kremlin activities in Europe. The Guardian. https://www.theguardian.com/world/article/2024/jun/02/revealed-russian-legal-defence-foundation-pravfond-europe?CMP=share_btn_url&fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR18JNJ7uYV-6WuY5z8Q_SmqdVDyGYeitq-xAvrd4BCfqWtGTVxBc5y6tkU_aem_ATpRy8TRLYMAs-TwGNAAkOqzMsNfXUC_ZvlR1Rv-j2B27DT5_2piRkAZuA9vxShpRRJ-ZrKG3UCz4uBRa-1cCpzK

1st EEAS Report on Foreign Information Manipulation and Interference Threats. (n.d.). EEAS. February, 2023. Pp. 17. https://www.eeas.europa.eu/eeas/1st-eeas-report-foreign-information-manipulation-and-interference-threats_en

2nd EEAS Report on Foreign Information Manipulation and Interference Threats. (n.d.). EEAS. January 2024. Pp. 26. https://www.eeas.europa.eu/eeas/2nd-eeas-report-foreign-information-manipulation-and-interference-threats_en

Johnson, L. K. (2010). National Security Intelligence [1st Edition]. Pp. 20. https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780195375886.003.